



აგრარული ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

„დამტკიცებულია“

რექტორი -----პროფ. გიორგი ღავთაძე

აგრარული ფაკულტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის  
ოქმი N17 25.05.2012.

ხელმძღვანელი----- პროფ. რამაზ კილაძე

აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის  
ოქმი № 12 24.05.2012 .

დამატებითი minor სპეციალობა

საბაღო–საპარკო მეურნეობა  
Garden and Park Agriculture

პროგრამის ხელმძღვანელი: ეკატერინე გუბელაძე, სოფლის მეურნეობის აკადემიური  
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საკონტაქტო ინფორმაცია: სამსახურის ტელეფონი \_ (8431) 7 77 66  
მობილური ტელეფონი \_ 855421500

**პროგრამის დასახელება:**

**საბაღო-საპარკო მეურნეობა  
Garden and Park Agriculture**

**პროგრამის მოცულობა  
კრედიტებით**

**60 ECTS კრედიტი**

**სწავლების ენა**

**ქართული**

**Minor პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება**

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია სპეციალისტების მომზადება, რომელთაც გათავისებულ ექნებათ ადამიანის საცხოვრებელი გარემოს გამწვანება-გალამაზების მნიშვნელობა კომფორტული სასიცოცხლო პირობების შექმნაში, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაში. მათ შეეძლებათ ღია სივრცეების გარკვეული მონაკვეთების, მცირე ზომის ობიექტების (სკვერები, ბაღები, საკარმიდამო ნაკვეთები და სხვა) გამწვანებისა და რეკონსტრუქციის პროექტების შექმნა და მათი რეალური განხორციელება არსებული პირობების, მხატვრულ-ესტეტიკური მოთხოვნების და საპროექტო მოცემულობის გათვალისწინებით; ობიექტების შემდგომი მოვლა და ექსპლუატაცია; თაიგულებისა და კომპოზიციების შექმნა; ინტერიერების და თემატური ექსპოზიციების ფლორისტული გაფორმება.

**დაშვების წინაპირობა**

აღნიშნული დამატებითი სპეციალობის არჩევა შეუძლიათ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე სემესტრის სტუდენტებს, თავისუფალი არჩევანის საფუძველზე.

**საბაკალავრო  
პროგრამის  
სწავლის შედეგი**

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულებმა იციან:

- საქართველოს ბალ-პარკებში ფართოდ გავრცელებული დეკორაციული მერქნიანი და ბალახოვანი, მათ შორის ოთახის მცენარეების გარკვეული ასორტიმენტი, მათი ბიო-მორფოლოგიური თავისებურებები, მხატვრული ღირებულება, აგროტექნიკა, გამოყენების ფორმები; აცნობიერებენ მწვანე საფარის შენარჩუნების, ტერიტორიების გამწვანება-კეთილმოწყობის მნიშვნელობას ადამიანისათვის კომფორტული და ჯანმრთელი გარემოს შექმნაში;

- სხვადასხვა დანიშნულების ინტერიერების, თემატური ექსპოზიციების ფლორისტული გაფორმების ზოგადი წესები და მეთოდები;

- ლანდშაფტური არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორიული მემკვიდრეობის ძირითადი ეტაპები, თავისებურებები, თანამედროვე ტენდენციები; ლანდშაფტების დაგეგმარებისა და პროექტირების ზოგადი წესები და მეთოდები; გამწვანების ობიექტების გაშენებისა და ექსპლუატაციის წესები;

- მცენარეების თესლით და ვეგეტატიურად გამრავლების წესები; სანერგეში მათი მოვლა-მოყვანის, ფორმირების ტექნოლოგიები; გამწვანების ობიექტებზე მცენარეების მიმდინარე მოვლის მეთოდები;

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ:

- საქართველოში ფართოდ გავრცელებული დეკორაციული მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ძირითადი სახეობების და ჯიშების ცნობა, მათი მდგომარეობის შეფასება, საპროექტო ტერიტორიებზე მცენარეული საფარის ინვენტარიზაციის ჩატარება;

- მცენარეებისათვის ოპტიმალური სასიცოცხლო პირობების შექმნა, მათი ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით (მიწის დამუშავება, მცენარეების გამოკვეთვა და მორწყვა, დაავადებებისაგან დაცვა), მცენარეების სარგავი მასალის მიღება, მათი სწორად ამოღება და მუდმივ ადგილზე დარგვა;

- სხვადასხვა დანიშნულებისა და სტილის თაიგულებისა და კომპოზიციების შექმნა, ინტერიერების და თემატური ექსპოზიციების გაფორმების პროცესში მათი სწორი გამოყენება,

- სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მცირე ზომის ობიექტების ტერიტორიების არსებული მდგომარეობის და რეკონსტრუქციის პროექტების შექმნა, ჩანაფიქრის რეალიზება გრაფიკულად და შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, მნიშვნელოვანი კუთხეების ესკიზური ნახატების შესრულება, გამწვანების პროექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშება;

- მუშა ნახაზების მეშვეობით პროექტის რეალური განხორციელება.

**დასკვნის უნარი**

- დეკორაციული მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების სარგავი მასალის გამოყვანისა და მოვლის პროცესში შეუძლიათ გარემო პირობების მიმართ მათი მოთხოვნების გააზრება, ამა თუ იმ სახის აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის, თანმიმდევრობის და სიხშირის

დადგენა;

- მერქნიან მცენარეთა ინვენტარიზაციის ჩატარების პროცესში ადგენენ მათ სახეობრივ შემადგენლობას, გარემო პირობებისადმი შეგუების ხარისხს, აფასებენ სასიცოცხლო პირობებს და აკეთებს დასკვნას რეკონსტრუქციის პროცესში მათი ამოძრავის, გადარგვის, ან ახლით შეცვლის თაობაზე;

- გამწვანების მოთხოვნების შესაბამისად მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების სარგავი მასალის სახეობრივი შემადგენლობის, რაოდენობის და გამოყვანის ტექნოლოგიების დაგეგმვა;

- შეუძლიათ საპროექტო ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ადეკვატური შეფასება, ანალიზი, რეკონსტრუქციის ღონისძიებების დასახვა; ობიექტების გეგმარების გააზრება მათი ფუნქციონალური დანიშნულების და გადაწყვეტის მხატვრული სტილის გათვალისწინებით; წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების და პროექტის რეალურად განხორციელებისათვის სამუშაოების დაგეგმვა; არსებული პირობების და მხატვრული ჩანაფიქრის გათვალისწინებით გამწვანებისათვის მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის გააზრება; ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოვლითი სამუშაოების ჩატარების ვადების და სახეების დაგეგმვა;

- ტერიტორიების გამწვანება-კეთილმოწყობასთან დაკავშირებული პროექტების პრეზენტაცია, საჯარო განხილვა და ჩანაფიქრის არგუმენტირებული დაცვა.

### **კომუნიკაციის უნარი**

- სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან საკუთარი დარგობრივი სფეროს შესახებ კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენაზე;

- ინტერნეტისა და სხვადასხვა ელექტრონული წყაროების გამოყენება კომუნიკაციის და ინფორმაციის მოძიებისათვის;

- სხვადასხვა სახის ყვავილნარების, ინტერიერების და ბალ-პარკების გამწვანების პროექტების ახსნა-განმარტებითი ბარათების, პრაქტიკის ანგარიშების მომზადება და ზეპირი წარდგენა.

### **სწავლის უნარი**

- სპეციალობასთან დაკავშირებული მასალების მოძიება ლიტერატურაში, ინტერნეტში, მშობლიურ და უცხო ენაზე, მათი ანალიზი, შემოქმედებითი გამოყენება; პრეზენტაციების მომზადება; საკუთარი ცოდნის შეფასება, განახლება და შემდგომში სწავლის გაგრძელების განსაზღვრა;

### **ღირებულებები**

- მცენარეული სამყაროს როლისა და მნიშვნელობის გააზრება ორგანული სამყაროს ევოლუციასა და დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების საქმეში, გარემოს გამწვანების, ბალ-პარკების გაშენებისა და მათი მოვლის მნიშვნელობის გაცნობიერება ადამიანისათვის კომფორტული სასიცოცხლო გარემოს შექმნაში;

- სხვა ერებისა და ცივილიზაციების, მათი კულტურისა და წეს-ჩვეულებების პატივისცემა, მათდამი ტოლერანტული ღირებულებების ჩამოყალიბება;

**დასაქმების სფეროები**

კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს ქალაქების და სხვა დასახლებულ ტერიტორიების კეთილმოწყობის სამსახურებში, რომელთა კომპეტენციაშიც შედის გამწვანების ობიექტების მოვლა, რეკონსტრუქცია და ახლის გაშენება; კერძო (შპს) საწარმოებში, რომლებიც დასაქმებული არიან ტერიტორიების, ოფისების, ინტერიერების და ინდივიდუალური საკარმიდამო ნაკვეთების გამწვანებით და დიზაინით; სხვადასხვა ეკოლოგიური პროფილის საწარმოებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები**

მეცადინეობა შეიძლება ჩატარდეს როგორც აკადემიურ ჯგუფში, ისე უნივერსიტეტში დადგენილი ნორმების მიხედვით:

პროგრამის ხანგრძლივობაა 3 აკადემიური წელი (6 სემესტრი) – 60 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 15 სალექციოს და 4 სასესიო კვირას.

უნივერსიტეტში დისციპლინები სტანდარტიზირებულია 5 კრედიტზე ან 5-ის ჯერადაზე. 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს. 5 კრედიტიან საგანში კვირაში ტარდება 3 სააუდიტორიო მეცადინეობა, ე.ი. 45 საკონტაქტო საათი გათვლილია ლექცია, პრაქტიკულ-ლაბორატორიულ მეცადინეობაზე და ჯგუფში მუშაობაზე. დანარჩენი საათები ნაწილდება საგნის პედაგოგების მიერ

**საკონტაქტო საათები:**

ლექცია/პრაქტიკული მეცადინეობა /ლაბორატორიული მეცადინეობა/სამუშაო ჯგუფში მუშაობა

**დამოუკიდებელი მუშაობა:**

- მასალის შერჩევა და შეგროვება;
- მასალის წაკითხვა და შესწავლა;
- ზეპირი და წერიტი გამოცდისათვის (ტესტირებისათვის) მომზადება;
- საშინაო დავალების/ნაშრომის შესრულება;
- ნახატების და ნახაზების შესრულება;
- სასწავლო ექსკურსია;
- კონსულტაცია;
- შუალედური და დასკვნითი გამოცდა;

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, აგრარული ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, კომპიუტერული სწავლების კლასი ადჭურვილი ლანდშაფტური არქიტექტურის სწავლებისა და პროექტირების უახლესი პროგრამით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო პროგრამებით ადჭურვილი უცხო ენების შემსწავლელი კლასი, სპეციალობის კაბინეტები (დეკორაციული დენდროლოგიის, ლანდშაფტური არქიტექტურის, მეყვავილეობის).

ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით ადჭურვილი კომპიუტერული კლასები სტუდენტებს მისცემენ საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას;

ქალაქის გამწვანების და კეთილმოწყობის პროფილის საწარმოები, ბაღ-პარკები, ბოტანიკური ბაღი, სადაც სტუდენტები გააღრმავებენ მიღებულ ცოდნას.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

### 10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

#### ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

#### ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №785 (05.01.2007) და №3 (21.09.2009) ბრძანებებით, მათში შეტანილი ცვლილებებისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებით (№12; 30.10.2009; დადგენილება №35; 10.11.2010) განსაზღვრული პრინციპებით.

10. სასწავლო გეგმა

№	საკონტაქტო საათები  კურსები	კოდი	კრედიტი	სულ საათები	ლექცია /პრაქტიკული/ ლაბორატორიული გამოცდა	დამოუკიდებელი საათები	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								დამუშავების წინაპირობა (რიგითი ნომერი)
							1	2	3	4	5	6	7	8	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
1	ხატვა, ფერწერა და გრაფიკა	ALB0120	5	125	0.45.0.4.	76			5						
2	ნიადაგთმცოდნეობა	ASB0010	5	125	15.30.0.4.	76			5						
3	მეყვავილეობა	ALB0140	5	125	15.30.0.4.	76				5					1, 2
4	ტყის და დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა სანერგე	ALB0180	5	125	15.30.0.4.	76				5					2
5	დეკორაციული მერქნიანი წიწვოვანი მცენარეები	ALB0150	5	125	15.30.0.4.	76					5				2, 4
6	ტყის და დეკორაციულ მცენარეთა დაცვა	ASB0030	5	125	15.30.0.4.	76							5		3, 5, 7
7	დეკორაციული მერქნიანი ფოთლოვანი მცენარეები	ALB0160	5	125	15.30.0.4.	76						5			2, 4, 5
8	ფიტოდოზაინი	ALB0170	5	125	15.30.0.4.	76					5				1, 2, 3
9	ლანდშაფტური ხელოვნება	ALB0200	5	125	15.30.0.4.	76						5			1, 3, 5
10	ბად-პარკების პროექტირება	ALB0220	5	125	15.30.0.4.	76							5		1, 2, 3, 5, 7, 9
11	ბად-პარკების მშენებლობა	ALB0230	5	125	15.30.0.4.	76								5	2, 3, 4, 5, 6, 7, 9, 10
12	საქართველოს დაცული ტერიტორიები	ALB0261	5	125	15.30.0.4.	76								5	5, 7, 9
<b>სულ:</b>			<b>60</b>	<b>1500</b>	<b>165. 375.0.48.</b>	<b>912</b>			<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	<b>10</b>	

## სწავლის შედეგების რუკა

#	კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასვენის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ხატვა, ფერწერა და გრაფიკა	X	X				
2	ნიადაგთმცოდნეობა	X	X	X	X		X
3	მეყვავილეობა	X	X	X	X		
4	ტყის და დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა სანერგე	X	X	X			
5	დეკორაციული მერქნიანი წიწვოვანი მცენარეები	X	X	X			X
6	ტყის და დეკორაციულ მცენარეთა დაცვა	X	X	X	X	X	X
7	დეკორაციული მერქნიანი ფოთლოვანი მცენარეები	X	X	X			X
8	ფიტოდიზაინი	X	X	X	X		
9	ლანდშაფტური ხელოვნება	X	X	X		X	X
10	ბალ-პარკების პროექტირება	X	X	X	X	X	
11	ბალ-პარკების მშენებლობა	X	X	X	X	X	X
12	საქართველოს დაცული ტერიტორიები	X		X			X



## საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

**აუცილებელი ადამიანური რესურსი:** ბაკალავრის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრებით, სასწავლო დისციპლინებს უძღვებიან შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე 9 სპეციალისტი: 1 სრული პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 4 ასისტენტ-პროფესორი, რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ეწევიან სამეცნიერო-კვლევით, პრაქტიკულ და მეთოდურ მუშაობას. პროგრამის განხორციელებას ასევე ემსახურება 1 ლაბორანტი.

№	ადამიანური რესურსი	სამეცნიერო ხარისხი	დაკავებული თანამდებობა	სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განსახორციელებელი კურსები
1	ლორთქიფანიძე როზა	სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი	სრული პროფესორი	ნიადაგთმცოდნეობა
2	ბენიძე ეთერი	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ხატვა-ფერწერა და გრაფიკა; მეყვავილეობა; ფიტოდიზაინი; ლანდშაფტური ხელოვნება; ბალ-პარკების პროექტირება;
3	კილაძე რამაზი	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ტყის და დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა სანერგე; ბალ-პარკების მშენებლობა; საქართველოს დაცული ტერიტორიები;
4	გუბელაძე ეკატერინე	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	დეკორაციული მერქნიანი წიწვოვანი მცენარეები; დეკორაციული მერქნიანი ფოთლოვანი მცენარეები.
5	ჩაჩხიანი ნუნუ	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ტყის და დეკორაციულ მცენარეთა დაცვა.
6	კუცია მარინა	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	ასოცირებული პროფესორი	ტყის და დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა სანერგე.
7	ოჩხიკიძე იზა	_ სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	ასისტენტ პროფესორი	ხატვა-ფერწერა და გრაფიკა; ლანდშაფტური ხელოვნება; ბალ-პარკების პროექტირება ბალ-პარკების მშენებლობა;
8	ქუთელია ქეთევანი	_ სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	ასისტენტ პროფესორი	მეყვავილეობა; ფიტოდიზაინი;
9	ავალიშვილი ნინო	სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი	ასისტენტ პროფესორი	ნიადაგთმცოდნეობა.
10	დავითაია მანანა		ლაბორანტი	მეყვავილეობა; ფიტოდიზაინი; ბალ-პარკების პროექტირება.

სასწავლო პროცესისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, აგრარული ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, კომპიუტერული სწავლების კლასი აღჭურვილი ლანდშაფტური არქიტექტურის სწავლებისა და პროექტირების უახლესი პროგრამით, კომპიუტერული ტექნიკითა და სასწავლო პროგრამებით აღჭურვილი უცხო ენების შემსწავლელი კლასი, სპეციალობის კაბინეტები (დეკორაციული დენდროლოგიის, ლანდშაფტური არქიტექტურის, მეყვავილეობის). ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების

პაკეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები სტუდენტებს მისცემენ საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას;

პრაქტიკული მეცადინეობების ნაწილი, სასწავლო და საწარმოო პრექტიკა ჩატარდება ქალაქ ქუთაისის გამწვანების და კეთილმოწყობის პროფილის საწარმოებში, ბაღ-პარკებში (ქუთაისის ცენტრალური ბაღი, ბ. გაბაშვილის პარკი, მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი), დეკორაციულ მცენარეთა სანერგეში (შ.პ.ს. “ნემო კაკუშაძე”); ექსკურსიები მოეწყობა ქუთაისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებში.

**სასწავლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა:** საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციით: სასწავლო კურსის სილაბუსით, სალექციო კურსებით, ძირითადი სახელმძღვანელოებით და დამხმარე საინფორმაციო წყაროებით, სასწავლო-მეთოდური რეკომენდაციებით, სწავლების მულტიმედიური ტექნოლოგიებით და აუდიო/ვიდეო მასალებით.

**აუცილებელი მატერიალური რესურსი:** პროგრამის განხორციელებას ემსახურება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, მის მფლობელობაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება, რაც იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ესენია: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, აგრარული ფაკულტეტის კომპიუტერული ბაზა, კომპიუტერული სწავლების კლასი აღჭურვილი ლანდშაფტური არქიტექტურის სწავლებისა და პროექტირების უახლესი პროგრამებით, სპეციალობის კაბინეტები (დეკორაციული დენდროლოგიის, ლანდშაფტური არქიტექტურის, მეყვავილეობის). ინტერნეტში ჩართული და ტრადიციული პროგრამების პაკეტით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები სტუდენტებს მისცემენ საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობას;

პრაქტიკული მეცადინეობების ნაწილი, სასწავლო და საწარმოო პრექტიკა ჩატარდება ქალაქ ქუთაისის გამწვანების და კეთილმოწყობის პროფილის საწარმოებში, ბაღ-პარკებში (ქუთაისის ცენტრალური ბაღი, ბ. გაბაშვილის პარკი, მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი), დეკორაციულ მცენარეთა სანერგეში (შ.პ.ს. “ნემო კაკუშაძე”); ექსკურსიები მოეწყობა ქუთაისისა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებში.

## დისციპლინების ანოტაციები

### **ხატვა, ფერწერა და გრაფიკა – Drawing, painting and graphic \_ ALB0120**

კურსის მიზანია სტუდენტებს ჩამოუყალიბოს ხატვის, ფერწერის და გრაფიკის უნარ-ჩვევები; რათა შემდგომში მათ შეძლონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული და ხატვა-ფერწერასთან დაკავშირებული სხვა დისციპლინების ათვისება. სწავლის პროცესში უნდა მოხდეს: ფანქრით ხატვის უნარ-ჩვევების გამომუშავება სხვადასხვა სირთულის გეომეტრიული ფიგურების ნატურიდან ხატვის შედეგად; აკვარელის ფერებით ნატურმორტების, პეიზაჟების, მცენარეული ჯგუფების ჩახატვის დაუფლება; სხვადასხვა სირთულის ორნამენტული ნახატების შესრულება; ხაზური და ჰაეროვანი პერსპექტივის ძირითადი კანონების ცოდნის გამოყენებით ქალაქების და ინტერიერების გამწვანების ესკიზური ნახატების შექმნა. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს ნატურმორტების, პეიზაჟებისა და მცენარეების ნატურიდან ხატვა, ან სურათებიდან გადმოხატვა; ორნამენტების და სხვადასხვა სირთულის ესკიზური ნახატების შესრულება.

### **ნიადაგთმცოდნეობა – soil science \_ ASB0050**

კურსის მიზანია მისცეს სტუდენტებს სათანადო ცოდნა საქართველოს ძირითადი ნიადაგების შესახებ ტიპის, გვარის, სახეობის და ქვესახეობის დონეზე; შეასწავლოს მათი ზონალური გავრცელება და ბიოკლიმატური პირობები, რათა მათ სწორად შეარჩიონ და გამოიყენონ სათანადო აგროტექნოლოგია. სასწავლო კურსი მოიცავს: ნიადაგთწარმოშობ ქანებს, ნიადაგების ბიოკლიმატურ პირობებს, ნიადაგების მინერალურ და ორგანულ შედგენილობას, მათ ფლორასა და ფაუნას, ნიადაგში მიმდინარე ბიო-ქიმიურ და ფიზიკურ-მინერალურ პროცესებს. კურსის დასრულებისას ბაკალავრი შეძლებს დაადგინოს ნიადაგის უმთავრესი აგროსაწარმოო თვისება – ნაყოფიერება, შეიმუშაოს საქართველოს სხვადასხვა ნიადაგური ტიპების გამოყენების წესი.

### **მეყვავილეობა – Floriculture \_ ALB0140**

სტუდენტებს შეასწავლოს პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ღია და დახურული გრუნტის დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების ძირითადი ასორტიმენტი, აგრეთვე ვარდის კულტურა, მათი აგროტექნიკა და მწვანე მშენებლობაში გამოყენება. სასწავლო კურსი მოიცავს დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების ძირითადი გვარების, სახეობების და ჯიშების, აგრეთვე გვარი ვარდის მორფოლოგიურ დახასიათებას, ბიოლოგიურ თავისებურებებს, გამრავლებისა და მოვლის წესებს, აგრეთვე, სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ყვავილნარების შექმნის მხატვრულ ასპექტებს. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტებმა უნდა იცოდნენ დეკორაციული ბალახოვანი მცენარეების ძირითადი წარმომადგენლები და ვარდი; შეეძლოთ სტანდარტული, ჯანსაღი სარგავი და ასაჭრელი პროდუქციის მიღება, მაღალმხატვრულ დონეზე სხვადასხვა სახის და დანიშნულების ყვავილნარების დაგეგმვა და შექმნა.

### **ტყის და დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა საწარმო – Forest nurseries and ornamental plants \_ ALB0180**

სტუდენტებს შეასწავლოს ტყის და დეკორაციული მერქნიანი მცენარეების სტანდარტული სარგავი მასალის მიღების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, რათა მათ შეძლონ მწვანე მშენებლობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სასწავლო კურსი მოიცავს საკითხებს: ტყის და დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა საწარმოს ორგანიზაცია და ასორტიმენტი; ტყის სადედე განყოფილება და მისი მნიშვნელობა საწყისი მასალის მისაღებად; ტყის და დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა გამრავლების სახეები – თესლით გამრავლება, ვეგეტატიური გამრავლება; ტყის და დეკორაციულ-მერქნოვან მცენარეთა ფორმირების საფუძვლები; დიდი ზომის ნერგების გამოყვანა (მესამე სკოლა); ნამყენი ხეების ნერგების გამოყვანა; დეკორაციულ-მერქნოვან მცენარეთა ფორმირება.

### **დეკორაციული მერქნიანი წიწვოვანი მცენარეები – Decorative woody conifers \_ ALB0150**

კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საქართველოს ბაღ-პარკებში გავრცელებული მერქნიანი წიწვოვანი მცენარეების შესახებ. კურსი მოიცავს საკითხებს: კურსის შესწავლის საგანი; მერქნიანი მცენარეების მნიშვნელობა; მერქნიანი წიწვოვანი მცენარეების ბიო-მორფოლოგიური თავისებურებები; განყოფილება შიშველთესლიანები; გვარები: სოჭი და კედარი; ნაძვი და ფიჭვი; სექვოია, სექვოიადენდრონი და ტაქსოდიუმები; კრიპტომერია და კუნინჰამია; კვიპაროზი; ტუია და ხამეციპარისი; ღვია და პოდოკარპუსი; ცეფალოტაქსუსი და ურთხელი – ძირითადი სახეობების და და საბაღო ფორმების ბიო-მორფოლოგიური დახასიათება, მწვანე მშენებლობაში გამოყენება.

## **ტყის და დეკორაციულ მცენარეთა დაცვა – Forest and Decorative plant protection –**

კურსის მიზანია ტყის და დეკორაციულ მცენარეთა დაავადებების, მავნებლების და სარეველების შესწავლა, მათი მავნეობის დადგენა და ბრძოლის ტექნოლოგიების დამუშავება. კურსი მოიცავს საკითხებს: ტყის და დეკორაციულ მცენარეთა დაავადებების გამომწვევი სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები და მიკოპლაზმები, მათი ბიო-მორფოლოგია, დაავადებების სიმპტომები, გავრცელება, ურთიერთკავშირი, ეკოლოგიური ფაქტორები; ტყის და დეკორაციულ მცენარეთა მავნებლები – მწერები, ტკიპები, ბუგრები, ნემატოდები, მათ მიერ გამოწვეული დაზიანების ფორმები, გავრცელება, უარყოფით სამეურნეო მნიშვნელობა, ბიო-ეკოლოგია; პესტიციდების გამოყენება; ტყის და დეკორაციულ მცენარეთა დაავადებებისა და მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების კომპლექსური სისტემა. კურსის დასრულების შემდეგ ბაკალავრი შეძლებს კომპლექსური ბრძოლის ღონისძიებების გამოყენებით დაიცვას გარემო მავნებლებისა და დაავადებებისაგან.

## **დეკორაციული მერქნიანი ფოთლოვანი მცენარეები – Decorative woody deciduous plants \_ ALB0160**

კურსის მიზანია სტუდენტებს მისცეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საქართველოს ბაღ-პარკებში გავრცელებული მერქნიანი ფოთლოვანი მცენარეების შესახებ. კურსი მოიცავს საკითხებს: განყოფილება ფარულთესლიანები; მარადმწვანე დეკორაციული მერქნიანი მცენარეების ძირითადი გვარები და სახეობები; ფოთლომცვენი დეკორაციული მერქნიანი მცენარეები; გაზაფხულზე მოყვავილე დეკორაციული მერქნიანი მცენარეები; ზაფხულში მოყვავილე დეკორაციული მერქნიანი მცენარეები; ზაფხულში მოყვავილე დეკორაციული მერქნიანი მცენარეები; დეკორაციული ხვარა მერქნიანი მცენარეები; პალმები და სხვა ერთლებნიანთა კლასის დეკორაციული მერქნიანი მცენარეები \_ ძირითადი გვარებისა და სახეობების დახასიათება და მწვანე მშენებლობაში გამოყენების თავისებურებები

## **ფიტოდიზაინი – Phito design \_ ALB0170**

კურსის მიზანია სტუდენტებს ასწავლოს სხვადასხვა სახის ინტერიერების და მცირე ზომის ობიექტების ფლორისტული გაფორმების ძირითადი პრინციპები. სასწავლო კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ინტერიერების, ტერასების, აივნების, ზამთრის ბაღების ფლორისტული გაფორმება; მცენარეების ასორტიმენტის შერჩევის თავისებურებები ინტერიერების ფლორისტული გაფორმების დროს; ყვავილწილების ხელოვნების განვითარების ისტორია; იკებანასა და ბონსაის ხელოვნება; სხვადასხვა სტილის და დანიშნულების კომპოზიციების შექმნა; თემატური ექსპოზიციების მოწყობა; ყვავილების გამოფენა-კონკურსებში მონაწილეობის წესები და ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმები. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებმა უნდა შეძლონ სხვადასხვა სტილის, სირთულის, დანიშნულების ინტერიერების გაფორმება; თავიულების და კომპოზიციების შექმნა; თემატური ექსპოზიციების მოწყობა.

## **ლანდშაფტური ხელოვნება – Landscape Art \_ ALB0200**

კურსი მოიცავს საკითხებს: კურსის შესწავლის საგანი, მიზნები და ამოცანები; ლანდშაფტი, კულტურული ლანდშაფტი, ლანდშაფტის კომპონენტები და ლანდშაფტურ არქიტექტურაში მათი გამოყენების ფორმები; გასამწვანებელ ტერიტორიებზე გეგმარებისა და მცენარეთა კომპოზიციების შექმნის პრინციპები; ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტების სივრცობრივ-მოცულობითი ორგანიზაცია; ბუნების ჰარმონიის კანონები; ლანდშაფტური კომპოზიციის ძირითადი საშუალებები; მსოფლიოს უძველესი ბაღები და პარკები; შუა საუკუნეების ევროპის საბაღო-საპარკო ხელოვნება; საბაღო-საპარკო ხელოვნება აღორძინების ეპოქაში; ფრანგული კლასიციზმის პერიოდის საბაღო-საპარკო ხელოვნება; როკოკოს სტილის ბაღები; ევროპული ლანდშაფტური არქიტექტურის პეიზაჟური სტილი; აღორძინების ეპოქის საბაღო-საპარკო ხელოვნება რუსეთში; შორეული აღმოსავლეთის საბაღო-საპარკო ხელოვნება; საქართველოს საბაღო-საპარკო ხელოვნება; XIX – XXI საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო ბაღ-პარკები; ლანდშაფტური არქიტექტურის თანამედროვე ტენდენციები.

## **ბაღ-პარკების პროექტირება \_ Designing gardens and parks \_ ALB0220**

კურსის მიზანია ლანდშაფტური პროექტირების თეორიული საკითხების პრაქტიკულად განხორციელება, სხვადასხვა სტილისა და სირთულის ობიექტების გამწვანების პროექტების შექმნა. კურსი მოიცავს საკითხებს: ლანდშაფტის პროექტირების ძირითადი სიტუაციური ფაქტორები, გეგმარების ტიპები; მწვანე ნარგავების კლასიფიკაცია და დახასიათება, დასახლებული ადგილების მწვანე ნარგავის ნორმები; გასამწვანებელი ტერიტორიის არსებული მდგომარეობის სიტუაციური გეგმის შედგენა; ტერიტორიის გამწვანების პროექტი, მისი შემადგენელი ნაწილები და შესრულების თანმიმდევრობა; დეკორაციული მცენარეები, როგორც ლანდშაფტური არქიტექტურის ძირითადი სამოქმედო ობიექტი; ყვავილნარების მოწყობა; ობიექტების მცირე არქიტექტურული ფორმები, მათი გამოყენების თავისებურებანი; წყლის ელემენტების და

ჰიდროტექნიკური ნაგებობების გამოყენება ბაღ-პარკების პროექტირების პროცესში; ლანდშაფტის კომპოზიციის საშუალებები; მერქნიანი მცენარეების ბიო-ეკოლოგიური თავისებურებანი და დეკორაციული ნიშან-თვისებები; გამწვანების ობიექტებისათვის მცენარეთა ასორტიმენტის შერჩევა; გასამწვანებელ ტერიტორიებზე მცენარეთა კომპოზიციების შექმნის პრინციპები; სხვადასხვა სტილში ობიექტების გაფორმების თავისებურებანი; კომპიუტერული ლანდშაფტის დიზაინერული პროგრამის "наш сад омега 6" მუშაობის პრინციპები; ბაღ-პარკების პროექტირების თანამედროვე ტენდენციები;

### **ბაღ-პარკების მშენებლობა – Construction of parks and gardens \_ ALB0230**

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ქალაქში მწვანე ნარგავის ორგანიზაციის პრობლემები და მათი გარდაქმნის გზები; ბაღ-პარკების მშენებლობის თავისებურებანი; გამწვანების პროექტის მუშა ნახაზები; მწვანე ნარგავის როლი ადამიანის ცხოვრებაში და დასახლებული ადგილების კეთილმოწყობა; გასამწვანებელ ობიექტებზე მოსამზადებელი სამუშაოები; ობიექტებზე ნიადაგების მომზადება; გამწვანების ობიექტებზე აგროტექნიკური სამუშაოები; დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა სარგავი მასალის სტანდარტები, დარგვითი სამუშაოების ჩატარების ვადები და წესები; პროექტის ნატურაში გადასატანი საინჟინრო სამუშაოები; სამუშაოთა თანმიმდევრობა და გამწვანების ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშება; გამწვანების ობიექტების ექსპლუატაცია; გაზონის დანიშნულება, მისი კლასიფიკაცია; ყვავილნარების მოწყობა და მათი შემადგენლობა; ბაღ-პარკებში შენობა-ნაგებობების, გზების და მოედნების მშენებლობა, სპორტული მოედნების მოწყობის თავისებურებანი.

### **საქართველოს დაცული ტერიტორიები \_ Protected Territories of Georgia \_ ALB0261**

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: დაცული ტერიტორიების შექმნის წინამძღვრები. დაცული ტერიტორიების ძირითადი ტიპები. საქართველოს ლანდშაფტური მრავალფეროვნება. საქართველოს ძირითადი ბიომები. საქართველოს დაცული ტერიტორიები რეგიონების მიხედვით. საქართველოს ნაკრძალები. ეროვნული პარკები. აღკვეთილები. ბუნების ძეგლები, დაცული ლანდშაფტები, სავარაუდოდ დაცული ტერიტორიები. რეზერვატები. საქართველოს პოტენციალურად შესაძლებელი ხელუხლებელი ლანდშაფტები. საქართველოს საბაღო ხელოვნების ისტორია. ანტროპოგენური ლანდშაფტები – ბოტანიკური ბაღები. საქართველოს ბუნებრივი და ბიოლოგიური რესურსები. ტურიზმის ძირითადი სახეობები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში. დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური შეფასება და რეკრეაციული ათვისება.